

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

2025

შპს „ონლაინ მოლი“

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
4. ძირითადი საშუალებები	18
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
6. მარაგები.....	19
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
9. მიღებული სესხი	19
10. ამონაგები.....	20
11. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი.....	20
12. მიწოდების ხარჯები.....	20
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
14. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან.....	21
15. გაუთვალისწინებელი გარემოებები	22
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ონლაინ მიოლის“ ბენეფიციარებსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ონლაინ მიოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 404543561) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ინდივიდუალურ ფინანსურ საქმიანობასა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ აუდიტორად დაგვიქირავა საანგარიშგებო პერიოდის თარიღის შემდგომ, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე, ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მათი რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა 2024 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, 9,034,112 (2023 წლის 31 დეკემბერს 7,843,889) ლარი. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, და ასევე ფინანსური ინდივიდუალურ საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.

კომპანიამ აუდიტორად დაგვიქირავა საანგარიშგებო პერიოდის თარიღის შემდგომ, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე, ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მათი არსებობის, სისრულის და რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა

2024 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, 1,027,352(2023 წლის 31 დეკემბერს 1,003,941) ლარი. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით.

კომპანიას არ აქვს აღიარებული აქტივების გამოყენების უფლება და შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები. შესაბამისად ვერ დავრწმუნდით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური იჯარის ვალდებულების ნაშთის სისწორეში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს „ონლაინ მოლის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2024 წლის 29 ნოემბერს ამ ფინანსური ანგარიშგების შესახებ გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად, მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით

მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული

რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

თეიმურაზ კომლაძე

შპს „აუდიტორნი“ ს/კ 205274763
SARAS-F-358275

გარიგების პარტნიორი - SARAS-F-358275

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ონლაინ მოლის“ მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ონლაინ მოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 404543561) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრად აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ინდივიდუალურ ფინანსურ საქმიანობასა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ აუდიტორად დაგვიქირავა საანგარიშგებო პერიოდის თარიღის შემდგომ, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე, ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მათი რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა 2024 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, 9,034,112 (2023 წლის 31 დეკემბერს 7,843,889) ლარი. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, და ასევე ფინანსური ინდივიდუალურ საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.

კომპანიამ აუდიტორად დაგვიქირავა საანგარიშგებო პერიოდის თარიღის შემდგომ, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე, ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მათი არსებობის, სისრულის და რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა

2024 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად, 1,027,352(2023 წლის 31 დეკემბერს 1,003,941) ლარი. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით.

კომპანიას არ აქვს აღიარებული აქტივების გამოყენების უფლება და შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები. შესაბამისად ვერ დავრწმუნდით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური იჯარის ვალდებულების ნაშთის სისწორეში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს „ონლაინ მოლის“ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2024 წლის 29 ნოემბერს ამ ფინანსური ანგარიშგების შესახებ გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად, მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით

მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვალას და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული

რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოხმულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევინჯავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

თეიმურაზ კომლაძე

შპს „აუდიტორნი“ ს/კ 205274763
SARAS-F-358275

გარიგების პარტნიორი - SARAS-F-358275

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

ლარი	შენიშვნა	31-Dec-24	31-Dec-23
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,027,352	1,003,941
არამატერიალური აქტივები		68,224	73,850
გრძელვადიანი აქტივები		1,095,576	1,077,791
მარაგები	6	9,034,112	7,843,889
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,554,428	1,432,587
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	7	241,766	759,500
მიმდინარე აქტივები		10,830,306	10,035,976
სულ აქტივები		11,925,882	11,113,767
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		6,104,750	5,066,349
სულ კაპიტალი		6,104,750	5,066,349
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	104,241	2,677,832
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		104,241	2,677,832
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,390,380	2,935,101
მოკლევადიანი სესხები	9	2,841,790	-
საგადასახადო ვალდებულება		484,722	434,485
მიმდინარე ვალდებულებები		5,716,892	3,369,586
სულ ვალდებულებები		5,821,133	6,047,418
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,925,883	11,113,767

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-22 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 ოქტომბერს.

ოთარ წურწუშია

დირექტორი

თამარ კეკელიძე

მთავარი ბუღალტერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	10	27,849,499	25,792,724
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(14,592,715)	(14,291,799)
საერთო მოგება		13,256,784	11,500,925
მიწოდების ხარჯები	12	(8,975,293)	(6,717,874)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		36,677	10,663
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(2,666,890)	(3,461,603)
საოპერაციო მოგება		1,651,278	1,332,111
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	11	(612,877)	(283,511)
მოგება დაზღვევამდე		1,038,401	1,048,600
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,038,401	1,048,600
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		1,038,401	1,048,600

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-22 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 ოქტომბერს.

ოთარ წურწუშია
დირექტორი

თამარ კეკელიძე
მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2022	-	4,222,196	4,222,196
წლის შედეგი	-	1,048,600	1,048,600
სხვა ცვლილებები	-	(204,447)	(204,447)
31.12.2023	-	5,066,349	5,066,349
წლის შედეგი	-	1,038,401	1,038,401
31.12.2024	-	6,104,750	6,104,750

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2024	2023
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	31,812,818	30,111,817
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(22,871,268)	(20,363,411)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(3,758,484)	(3,697,112)
გადახდილი გადასახადები	(5,624,147)	(5,238,572)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(441,081)	812,722
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(335,643)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	-	(335,643)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება	484,805	875,156
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	(346,449)	(1,203,749)
გრძელვადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(212,635)	(183,228)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(74,279)	(511,821)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(2,374)	22,509
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(515,360)	(34,742)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	759,500	771,733
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	241,766	759,500

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ონლაინ მოლი“ დაფუძნდა 2017 წლის 4 სექტემბერს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 404543561.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ვ. ბარნოვი-თარხნიშვილის ქ. №49/29, ბ.6.

შპს „ონლაინ მოლი“-ს დირექტორი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და 100%-იანი წილის მფლობელია:

ოთარ წურჭუმია (პ/ნ 01018004007) – 100%.

კომპანია ოპერირებს სრული ლიცენზირებული საბავშვო ასორტიმენტით: ეტლები, საწოლები, ტანსაცმელი, სათამაშოები, საბავშვო ავეჯი და ა.შ.

საქმიანობის ტიპი:

- დისტრიბუცია
- კომპიუტერული და პროგრამული მომსახურება
- საბავშვო პროდუქცია და საქმიანობა

დარეგისტრირებული ფილიალები არ აქვს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. პირვანდელი ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა გარკვეულ შეფასებებს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
საშუალო კურსი 2024	2.7208	2.9440
საშუალო კურსი 2023	2.6279	2.8416

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში იბეგრება მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ მიხედვით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. დაბეგვრის ეს მოდელი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ახარტული თამაშობების ორგანიზატორი პირებისა).

აღნიშნული მოდელის შესაბამისად, მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენს, გარდა იმპირებისა, რომლებიც არ იბეგრებიან მოგების გადასახადით „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულის ბანკში, დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

შემდგომი აღრიცხვისთვის ფასდება რეალური ღირებულებით

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	წლიური ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-8 წელი
მანქანა-დანადგარები	7-8 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	3-5 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილ ფასთა მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად

ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

წესდებით განსაზღვრული კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც განთავსებული კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადაფასებული შენობა-ნაგებობებისთვის ხელახლა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და განსაზღვრა.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ოფისის მოწყობილობა	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2022 31 დეკემბრისთვის	131,688	110,307	38,353	903,896	1,184,244
შემოსვლა	74,836	35,077	9,606	19,531	139,050
გასვლა					
2023 31 დეკემბრისთვის	206,524	145,384	47,959	923,427	1,323,294
შემოსვლა	37,690	22,288	11,690	46,461	118,129
გასვლა	(674)	(16,392)	-	(14)	(17,080)
2024 31 დეკემბრისთვის	243,540	151,280	59,649	969,874	1,424,343
ცვეთა და ამორტიზაცია					
2022 31 დეკემბრისთვის	(35,003)	(15,130)	(1,290)	(82,119)	(133,542)
ცვეთის ხარჯი	(32,747)	(16,504)	(899)	(135,661)	(185,811)
ცვეთის გასვლა					
2023 31 დეკემბრისთვის	(67,750)	(31,634)	(2,189)	(217,780)	(319,353)
ცვეთის ხარჯი	(51,435)	(22,098)	-	(18,061)	(91,594)
ცვეთის გასვლა	-	9,514	-	4,442	13,956
2024 31 დეკემბრისთვის	(119,185)	(44,218)	(2,189)	(231,399)	(396,991)
საბალანსო ღირებულება					
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წ	138,774	113,750	45,770	705,647	1,003,941
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წ	124,355	107,062	57,460	738,475	1,027,352

კომპანიის საკუთრებაში არსებული არცერთი ძირითადი საშუალება არ წარმოადგენს ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-24	31-12-23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	154,927	265,751
თანამშრომელზე გადახდილი ავანსები	1,557	8,724
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,397,944	1,158,112
სულ	1,554,428	1,432,587

შპს ონლაინ მოლი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

ლარი	შენიშვნა	31-Dec-24	31-Dec-23
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,027,352	1,003,941
არამატერიალური აქტივები		68,224	73,850
გრძელვადიანი აქტივები		1,095,576	1,077,791
მარაგები	6	9,034,112	7,843,889
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,554,428	1,432,587
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	7	241,766	759,500
მიმდინარე აქტივები		10,830,306	10,035,976
სულ აქტივები		11,925,882	11,113,767
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		6,104,750	5,066,349
სულ კაპიტალი		6,104,750	5,066,349
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	104,241	2,677,832
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		104,241	2,677,832
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,390,380	2,935,101
მოკლევადიანი სესხები	9	2,841,790	-
საგადასახადო ვალდებულება		484,722	434,485
მიმდინარე ვალდებულებები		5,716,892	3,369,586
სულ ვალდებულებები		5,821,133	6,047,418
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,925,883	11,113,767

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-22 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 ოქტომბერს.



ოთარ ჭურუმია

დირექტორი



თამარ კიკელიძე

მთავარი ბუღალტერი

6. მარაგები

	31-12-24	31-12-23
სარეალიზაციო საქონელი	9,034,112	7,843,889
სულ	9,034,112	7,843,889

2024 წელს რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში ჩამოწერა 14,592,715 ლარის მარაგები.

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-12-24	31-12-23
ფული საღარიშში	49,339	76,212
ფული საბანკო ანგარიშებზე	192,427	683,288
სულ	241,766	759,500

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-12-24	31-12-23
სავაჭრო ვალდებულებები	2,127,443	2,728,157
მიღებული ავანსები	86,123	92,854
გადასახდელი ხელფასები	172,114	103,872
სხვა ვალდებულებები	4,700	10,218
სულ	2,390,380	2,935,101

9. მიღებული სესხი

	გრძელვადიან ო	მიმდინარე	გრძელვადიან ო	მიმდინარე ე
	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი ო
გადასახდელი ძირი	104,241	2,817,187	-	2,677,832
გადასახდელი პროცენტი	-	24,603	-	-
	104,241	2,841,790	-	2,677,832

სესხები აღებულია საბანკო დაწესებულებებისგან. სესხის დაფარვის ვადად განსაზღვრულია 2027 წელი.

საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8.5%-ს (2023: 8.5%). მიღებული სესხები დენომინირებულია ქართულ ლარში.

მიღებული სესხები

შპს ონლაინ მოლი


მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები მოცემულია ლარში)

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	10	27,849,499	25,792,724
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(14,592,715)	(14,291,799)
საერთო მოგება		13,256,784	11,500,925
მიწოდების ხარჯები	12	(8,975,293)	(6,717,874)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		36,677	10,663
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(2,666,890)	(3,461,603)
საოპერაციო მოგება		1,651,278	1,332,111
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	11	(612,877)	(283,511)
მოგება დაბეგვრამდე		1,038,401	1,048,600
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,038,401	1,048,600
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		1,038,401	1,048,600

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-22 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 30 ოქტომბერს.


ოთარ წიქრადზე
დირექტორი


თამაზ კიკვიძე
მთავარი ბუღალტერი

01-01-24	2,677,832
ფულადი ნაკადების მოძრაობა	
სესხის აღება	484,805
სესხის დაფარვა	(346,449)
გადახდილი პროცენტი	(212,635)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა	
დარიცხული პროცენტი	227,236
სხვა ცვლილებები	115,242
31-12-24	2,946,031

10. ამონაგები

	31-12-24	31-12-23
შემოსავალი რეალიზაციიდან	27,849,499	25,792,724
სულ	27,849,499	25,792,724

კომპანიის შემოსავლებს შეადგენს საცალო პროექციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.

11. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

	2024	2023
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი	360,442	90,783
საპროცენტო ხარჯი	227,236	192,728
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	25,199	-
სულ	612,877	283,511

12. მიწოდების ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	4,095,979	2,291,062
იჯარა	3,034,773	2,669,329
რეკლამის ხარჯები	1,292,819	1,238,194
საწვავის ხარჯები	344,185	234,905
სხვა ხარჯები	118,570	153,491
ამორტიზაცია და ცვეთა	88,967	130,893
სულ	8,975,293	6,717,874

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	742,497	1,579,319
ბანკის საკომისიო	604,915	309,390
მივლინების ხარჯები	225,473	226,089
კომუნალური ხარჯი	165,078	190,949
ამორტიზაცია და ცვეთა	74,211	54,918
საპენსიო მოსაკრებელი	111,696	91,135

დაზღვევა	104,777	94,989
იჯარა	102,304	75,167
კომუნიკაციის ხარჯი	49,780	46,285
საკონსულტაციო ხარჯი	27,559	36,647
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,080	23,020
კომპიუტერის ხარჯი	4,694	8,695
სხვა ხარჯი	443,826	725,000
სულ	2,666,890	3,461,603

14. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

განხორციელებული

ტრანზაქციები

პარტნიორთან და

ძირითად

მენეჯმენტთან

დაუფარავი
ნაშთი
31.12.2024

დაუფარავი
ნაშთი
31.12.2023

ტრანზაქცი
ს
ღირებულება
2024 წელი

ტრანზაქციის
ღირებულება
2023 წელი

ხელფასის ხარჯები	731,153	601,766
სხვა ხარჯები	-	80,829
იჯარის ხარჯი	96,031	85,180

15. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანიას სასამართლო დავები არ ჰქონია.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც უნდა გამჟღავნებულიყო ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ონლაინ მოლის“ დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 30 ოქტომბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.

შპს „ონლაინ მოლის“
მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ონლაინ მოლი“-ის (შემდგომში „კომპანია“) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სრული საბავშვო პროდუქციის რეალიზაცია.

კომპანია ონლაინ მოლი დაარსდა 2017 წლის 4 სექტემბერს საქართველოში როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ოფისის რეგისტრირებული მისამართია: მთაწმინდის რაიონი, ვ.ბარნოვი-თარხნიშვილის ქ. #49/29 ბ 6, თბილისი საქართველო. მისი საკუთრების სტრუქტურა არის შემდეგი: 100% წილი ოთარ წურწუმა 01018004007 დირექტორი : ოთარ წურწუმა

კომპანია წარმოდგენილია 10 ფილიალით და ერთი ონლაინ მაღაზიით (<https://wishlist.ge/>) ;

1. თბილისი/ვაკე-საბურთალო/აღმაშენებლის ხეივანი 16კმ
2. თბილისი/ვაკე-საბურთალო/ქავთარაძის N1 "სითი მოლი
3. თბილისი/ისანი-სამგორი/თვალჭრელიძის ნ2
4. თბილისი/ვაკე-საბურთალო/სულხან ცინცაძე N12
5. თბილისი/ვაკე-საბურთალო/ნეკერჩხლის ქ. 2
6. ქვემო ქართლი/ქ.რუსთავი/მეგობრობის 1ა "რუსთავი მოლი"
7. აჭარა/ბათუმი/ჭავჭავაძის ქ N 8
8. აჭარა/ბათუმი/ჭიული შარტავას ქ. 22
9. იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი/ქ.ქუთაისი/9 აპრილის 3
10. სამეგრელო-ზ.სვანეთი/ქ.ზუგდიდი/კ.გამსახურდიას ქ N35

კომპანია ოპერირებს სრული ლიცენზირებული საბავშვო ასორტიმენტით: ეტლები, საწოლები, ტანსაცმელი, სათამაშოები, საბავშვო ავეჯი და ა.შ.

პროდუქცია არის სრულად იმპორტირებული, რომელის შერჩევაც ხდება საერთაშორისო გამოფენებზე .

საბავშვო პროდუქციის გარდა კომპანიას ბაზრის მსხვილი წილი უკავია სეზონურ პროდუქციაზე.

ზაფხულობით : აუზები და მისი აქსესუარების რეალიზაცია, რა თქმა უნდა ესეც სრულად იმპორტირებულია კომპანიის მიერ და ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით საახალწლო კატეგორიით , რაც მოიცავს როგორც უამრავი სახეობის ნაძვის ხეს , ასევე ნაძვის ხის სათამაშოებს და საახალწლო აქსესუარებს.ამ ყველაფრის შეკვეთა ხდება თვეებით ადრე და მზადდება ვიშლისთვის.

ასევე იკომერსის მიმართულება არის ძალიან მნიშვნელოვანი კომპანიისთვის, საკმაოდ მსუყე წილი უკავია ონლაინ გაყიდვებს.

საიტზე არის დამატებით ისეთი პროდუქცია, რომელიც ფილიალებში არაა. მაგალითად საყოფაცხოვრებო ტექნიკა , სახლის აქსესუარები და სხვა. რომლის შეკვეთის დროს ადგილობრივი მომწოდებლებისგან ხდება შესყიდვა და მიტანა მომხმარებელთან. საიტის გარდა კეთდება ფეისბუქ შეკვეთების აღებაც, ანუ მომხმარებელს შეუძლია ფეისბუქ მესენჯერით შეუკვეთოს ნებისმიერი ნივთები და ჩვენი საკურიერო ადგილზე მიუტანს. გვყავს კურიერების შიდა პოზიციები, მუდმივი კომპანიის კურიერები, რომლებიც ფარავენ 70 % ტერიტორიებს და იმ ლოკაციებზე სადაც ჩვენი საკურიერო ვერ მიდის , ვიყენებთ გადამზიდ ფოსტას.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები

1. ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა
2. ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობა
3. მსოფლიო პანდემია
4. რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში წარმოებული ომის ფაქტორი.

ონლაინ მოლი-ის სასესხო, კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი, უცხოურ ვალუტებშია, შემოსავალს კი იღებს ლარში. ლარის მკვეთრმა გაუფასურებამ უცხოური ვალუტებთან მიმართებაში შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან კომპანიის შესაძლებლობა, გაზარდოს პროდუქციის ფასები-შეზღუდულია.

რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ, შესაძლებელია გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება

კომპანიის ხელმძღვანელობა მცდელობას არ აკლებს განაახლოს ან შეცვალოს სამოქმედო პოლიტიკა ისე, რომ კონკურენტუნარიანი დარჩეს ბაზარზე.

3. კორპორატიული მართვის ანგარიშგება

კომპანიის კორპორატიული მართვის კოდექსის მიზანია კომპანიის კორპორატიული მართვის სრულყოფა და სისტემატიზაცია, ჰარმონიზაცია საერთაშორისოდ აღიარებულ კორპორატიულ სტანდარტებთან და პრინციპებთან, კორპორაციული მართვის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, რაც დაკავშირებულია პასუხისმგებლობების გამიჯვნასთან, გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებასთან, დამფუძნებელთა უფლებების დაცვასთან, ინტერესთა კონფლიქტის ეფექტურად დარეგულირებასთან, ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნების, კონტროლისა და დაბალანსების პოლიტიკასთან და კორპორაციული მართვის სხვა საკითხებთან. კომპანია ყოველივე ზემოაღნიშნულს ახორციელებს

1. თანასწორობის პრინციპით, რაც გულისხმობს დამფუძნებლის თანაბარ შესაძლებლობას იყოს ჩართული და დაიცვას მისი სამართლებრივი თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში არსებობს ქმედითი მექანიზმი.

2. დამფუძნებლის შესაძლებლობით, დროულად მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე.

3. ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფით. კომპანიის მართვა ხორციელდება მმართველი რგოლების პასუხისმგებლობის მაღალი დონით, უფლება-მოვალეობების მკაცრი გამიჯვნისა და დაცვით, კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობით.

4. კომპანიის დამფუძნებელთა კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმირების შესაძლებლობის უზრუნველყოფით.

5. თანამშრომელთა ჩართულობით კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.
6. ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობით კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში.
7. თანამშრომლების მუდმივი ტრენინგი და გადამზადება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საბავშვო პროდუქციის კუთხით, პროდუქციის სრულყოფილად ცოდნა და ფლობა, საშუალებას აძლევს მომხმარებელს მარტივად შეარჩიოს მისთვის სასურველი და საჭირო ნივთი.

კომპანიის მართვის ორგანოებია

კომპანიის დირექტორი კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც წარმართავს, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს დამფუძნებლის დადგენილი გადაწყვეტილებების აღსრულებას.

კომპანიის სამომავლო გეგმები

ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად კომპანია გეგმავს გაფართოებას და ფილიალების დამატებას საქართველოს მაშტაბით.

პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდა მუდმივად განხილვაშია, რადგან იცვლება ტრენდები, ჩნდება ახალი პროდუქცია და შესაბამისად კომპანია ფეხდაფეხ მიყვება ყველა სიახლეს და ხდება კატეგორიების გამრავალფეროვნება და გაზრდა.

ახალი მომწოდებლების აღმოჩენა და მათთან თანამშრომლობა არის ძალიან პრიორიტეტული კომპანიისთვის.

ასევე მუდმივი პარტნიორობა მსოფლიოში აღიარებულ ბრენდებთან და მათი ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა „ვიშლისთისთვის“ საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, როგორც პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის.

1. თანამშრომელთა კეთილდღეობა - პასუხისმგებლიანი კომპანიის მიზანი უნდა იყოს ადამიანური რესურსების როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული განვითარება, მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა

2. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა;

3. უსაფრთხოება - მომხმარებლების და პროდუქციის/მომსახურების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, თანამშრომელთა უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე და საგზაო უსაფრთხოება.

შიდა კონტროლების მიმოხილვა:

კომპანიის მენეჯმენტი ადეკვატურ ყურადღებას აქცევს შიდა კონტროლის სისტემას და აცნობიერებს IT კონტროლის მნიშვნელობას. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში შეტანილი მასალები ემყარება დამხმარე დოკუმენტაციას, რომელიც გენერირება შინაგანად ან მიიღება მომწოდებლებისგან ან გამყიდველებისგან. ფულადი სახსრების გადინების ყველა ოპერაცია მკაცრად კონტროლდება და მტკიცდება მთავარი ბუღალტრის და დირექტორის მიერ ტრანზაქციის მოცულობიდან გამომდინარე. ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას აკონტროლებენ აღმასრულებელი დირექტორი და/ან სხვა მენეჯერები.

დირექტორი ამოწმებს ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის საქმიანობას და იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ბრენდები

კომპანიამ ჩამოაყალიბა პარტნიორული ურთიერთობები მრავალ საერთაშორისო მწარმოებელთან და ბრენდთან, ოფიციალურად წარმოადგენს გლობალურ საბავშვო პროდუქციის ბრენდებს.

შპს ონლაინ მოლის

დირექტორი ოთარ წურჭუმია

შპს ონლაინ მოლი

დირექტორი ამოწმებს ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის საქმიანობას და იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ბრენდები

კომპანიამ ჩამოაყალიბა პარტნიორული ურთიერთობები მრავალ საერთაშორისო მწარმოებელთან და ბრენდთან, ოფიციალურად წარმოადგენს გლობალურ საბავშვო პროდუქციის ბრენდებს.

შპს ონლაინ მოლის

დირექტორი ოთარ წურწუმია

